საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თხაწართხალა

თხაწართხალა, (Chamaenerium angustifolium), ბალახოვანი მცენარე ონაგრასებრთა ოჯახისა. აქვს მომრგვალო ან ოდნავ წიბოებიანი 50–150 სმ სიმაღლის დაუტოტავი ღერო, მორიგეობით განლაგებული მოგრძო ან ხაზურ-ლანცეტისებრი მჯდომარე ან მოკლეყუნწიანი ფოთლები (ფოთლის ზედა მხარე პრიალა და მუქი მწვანეა, ქვედა – მოლეგო და ბადისებრ დაძარღვული), მრავალყვავილიანი, კენწრულ მტევნებად შეკრებილი მეწამული ყვავილები, მრავალთესლიანი, კოლოფა ნაყოფი. გვხვდება საქართვ. ყველა მაღალმთიან რ-ნში. იზრდება მთის ზედა და სუბალპ. სარტყლის ტყეებში, მდელოებზე, ტყის პირებსა და ნაკაფ ადგილებში, დაჩრდილულ და ტენიან ხეობებში. ახასიათებს ხანგრძლივი ყვავილობა (ივნისიდან–აგვისტომდე). ყვავილი გამოირჩევა ნექტრის სიუხვით, ფესვი ტკბილია და გამოიყენება საჭმელად; შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს.